საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 24 ნოემბერი, 2025 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/01

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სახელომწიფო სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს კულტურის განვითარებისა და ხელშეწყობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 18 ნოემბრის №00062717 კორესპონდენციის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის გაცემის წესი“ დანართის შესაბამისად.

2. გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **რატი ჩიბურდანიძე**

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2025 წლის 24 ნოემბრის №05-01/01 გადაწყვეტილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის გაცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - „უნივერსიტეტი“) სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის გაცემის წესი (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სახელმწიფო სტიპენდიის (შემდგომ - „სტიპენდია“) გაცემის წესსა და პირობებს.
2. უნივერსიტეტში სტიპენდია გაიცემა მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. სტიპენდია

1. სტიპენდია არის ფულადი თანხა, რომელიც ეძლევა უნივერსიტეტის სტუდენტს სწავლის ხელშეწყობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, ამ წესისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
2. სტიპენდიის ოდენობა შეადგენს თვეში - 300 (სამასი) ლარს.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემის წინაპირობები

1. უნივერსიტეტში სტიპენდია გაიცემა ამ წესის შესაბამისად ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტზე, წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე.
2. სტიპენდია არ გაიცემა დამამთავრებელი სემესტრის (მე-4 კურსის მე-2 სემესტრი) შედეგების გათვალისწინებით.
3. სტიპენდიები არ გაიცემა დამატებითი სემესტრის სტუდენტებზე.
4. სტიპენდია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ათვისებული აქვს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა კრედიტი და წინა სემესტრის შეფასებების საშუალო არითმეტიკული ქულა შეადგენს არანაკლებ 91 - ს.
5. მობილობის შემთხვევაში სტიპენდია არ გაიცემა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური მოსწრების რეიტინგების საფუძველზე.
6. შიდა მობილობის შემთხვევაში სტუდენტზე სტიპენდია გაიცემა წინა ფაკულტეტზე ან/და პროგრამაზე აკადემიური მოსწრების რეიტინგის საფუძველზე, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული პირობის დაცვითა და შესაბამისი ფაკულტეტისთვის (რომელზეც სწავლობს სტუდენტი შიდა მობილობის შემდეგ) ამ წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად დადგენილი კვოტის ფარგლებში.

მუხლი 4. სტიპენდიის ბიუჯეტი და სტიპენდიანტთა რაოდენობა

1. ამ წესის მიზნებისთვის სტიპენდიის ბიუჯეტი და სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობა მტკიცდება ყოველწლიურად უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ.

2. სტიპენდიატთა მაქსიმალური რაოდენობა ყოველ სემესტრში არ უნდა აღემატებოდეს ამავე სემესტრის დაწყების დღისთვის ბაკალავრიატის საფეხურის აქტიურ სტუდენტთა რაოდენობის 5%-ს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობის ფარგლებში, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტების სრული რაოდენობიდან გამომდინარე ადგენს სტიპენდიანტთა საერთო რაოდენობას და ანაწილებს მათ ფაკულტეტების მიხედვით თითოეულ ფაკულტეტზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად.

4. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ფაკულტეტზე ვერ ივსება ფაკულტეტებს შორის პროპორციულად გადანაწილებული სტიპენდიატების კვოტა, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ფაკულტეტის კვოტის აუთვისებელი ნაწილი შესაძლებელია გადანაწილდეს სხვა ფაკულტეტ(ებ)ზე საერთო საუნივერსიტეტო კვოტის ფარგლებში.

მუხლი 5. სტიპენდიანტების გამოვლენის წესი

1. დადგენილი კვოტის ფარგლებში, სტიპენდიატები გამოვლინდება წინა სემესტრის აკადემიური მოსწრების საფუძველზე, შესაბამის ფაკულტეტის ფარგლებში ქულათა რანჟირების გზით ყველაზე მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების რეიტინგის შესაბამისად.

2. თანაბარი ქულების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ სტუდენტს, რომელსაც სპეციალობის ძირითად მაპროფილებელ საგნებში აქვს უმაღლესი შეფასება.

3. სტიპენდიატების გამოვლენის მიზნით საჭირო პროცედურები უნდა განხორციელეს იმგვარად, რომ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტს მიეცეს სტიპენდია.

მუხლი 6. სტიპენდიანტთა სიის დამტკიცება

1. სტიპენდიანტთა სია მტკიცდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 7. სტიპენდიის გაცემა

1. სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად, 10 თვის მანძილზე (5 თვე სემესტრულად). რექტორის ბრძანებით შესაძლებელია დადგინდეს სტიპენდიის გაცემის ამ წესისაგან განსხვავებული გრაფიკი (მათ შორის, შესაძლებელია გაიცეს ერთიანად სემესტრის ბოლოს).

2. სტიპენდია გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით სტუდენტის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

მუხლი 8. სტიპენდიის შეწყვეტა

სტუდენტს სტიპენდია უწყდება:

ა) სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში;

ბ) მობილობის შემთხვევაში (გარდა შიდა მობილობისა);

გ) საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებისა და სხვა სამართლებრივი აქტების დარღვევისას.

მუხლი 9. დაფინანსების წყარო

სტიპენდია გაიცემა „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს შესაბამისი წლის კანონის საფუძველზე უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

მუხლი 10. სტიპენდიის გაცემის გამონაკლისი შემთხვევა

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია (შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე) ამ წესის შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება, გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის (საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სხვა სტუდენტისთვის, რომლის წინა სემესტრში შეფასებათა საშუალო ქულა რიგითობით ყველაზე მაღალია) სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ, სტიპენდიანტთა სიისთვის ამ სტუდენტის დამატებით.